



დგება დღე, საზეიმო და ამავდროულად სევდიანი, როდესაც უნივერსიტეტი გეომედი კურსდამთავრებულებს დაემშვიდობება და მათ ცხოვრების ახალი ეტაპის გზას დაულოცავს.

უნივერსიტეტის კედლებს ტოვებენ სტუდენტები, რომელთაც თან მიაქვთ არა მხოლოდ ცოდნა - განათლება, რაც იმედი გვაქვს, შემდგომი მიღწევების მყარი საფუძველი გახდება, არამედ უდიდესი სითბო და სიყვარულიც.

უნივერსიტეტმა წლების მანძილზე აღზარდა არა ერთი თაობა - მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებმაც ღირსეული ადგილი დაიმკვიდრეს ჩვენს საზოგადოებაში. კურსდამთავრებულთა ახალი ნაკადიც მათ რიცხვს შეურთდება და გვჯერა, რომ ისინი მნიშვნელოვან სიტყვას იტყვიან თავიანთი წარმატებული საქმიანობით სამედიცინო სფეროში.



აღსანიშნავია, რომ კურსდამთავრებულები მაინც რჩებიან ჩვენს ნაწილად და არ წყვეტენ კავშირს უნივერსიტეტთან. ისინი ყოველთვის აგრძელებენ ჩვენთან თანამშრომლობას და გვერდით გვიდგანან.

ვულოცავთ თითოეულ სტუდენტს უნივერსიტეტის დამთავრებას. ვუსურვებთ წარმატებას და წინსვლას მომავალ საქმიანობაში, განვითარებას, ბევრ საინტერესო გამოწვევას და ქვეყნის სამსახურში ღირსეულად დგომას.



საუნივერსიტეტო სტომატოლოგიურ კლინიკაში სტუდენტებსა და რეზიდენტებს საშუალება ეძლევათ გაიარონ თეორიული და პრაქტიკული კურსი. კლინიკის ბაზაზე ფუნქციონირებს რეზიდენტურის პროგრამა თერაპიულ, ორთოპედიულ, ბავშვთა ასაკის სტომატოლოგიასა და ქირურგიაში. 2021 წელს თერაპიული სტომატოლოგიის პროგრამა სამმა რეზიდენტმა - ინგა მესხმა, ლიდა ელიაძემ და თამთა თავალანძემ დაასრულეს. მნიშვნელოვანია, რომ ისინი უნივერსიტეტ გეომედის სტომატოლოგიის ფაკულტეტის კურსდამთავრებულებიც არიან.

„კარგად მახსოვს ის დღე, როდესაც სტუდენტის სტატუსით პირველად შევაბიჯე უნივერსიტეტ გეომედში. შემდეგ იყო რთული პერიოდებიც, სწავლაში გათენებული ღამეებიც და სასიამოვნო ისტორიებიც, რომელიც არასოდეს წაიშლება ჩემი მეხსიერებიდან.

რაც უფრო მეტი დრო გადიოდა ვხვდებოდი, რომ სწორი არჩევანი გავაკეთე, როცა უმაღლესი განათლების მისაღებად ავირჩიე უნივერსიტეტი გეომედი, რომელიც დაკომპლექტებულია პროფესიონალთა გუნდით და სადაც სტუდენტები მაღალი დონის განათლებას იღებენ.

2021 წლის აპრილის თვეში დავასრულე სარეზიდენტო პროგრამა თერაპიულ სტომატოლოგიაში. აქ ვისწავლე საექიმო ეთიკა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები. მალე ექიმი გავხდები და არასდროს დამავიწყდება უნივერსიტეტის როლი ჩემს პროფესიულ საქმიანობაში.

უღრმესი მადლობა თითოეულ ადამიანს, ვინც წვლილი შეიტანა ჩემს განვითარებაში. გპირდებით, რომ ყოველთვის იამაყებით ჩემით“.

ინგა მესხი



სტუდენტური სპორტი

საქართველოს უნივერსიადა - 2021 იწყება!



„საქართველოს უნივერსიადა - 2021“ მიმდინარე წლის 25 მაისიდან - 30 ივნისის ჩათვლით საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის ორგანიზებით, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით ჩატარდება.

პირველი მედალი უნივერსიტეტმა 2013 წელს მოიპოვა. მას შემდეგ უნივერსიტეტი ყოველწლიურად აუმჯობესებს შედეგებს. განსაკუთრებით წარმატებული აღმოჩნდა ბოლო ორი უნივერსიადა. უკანასკნელად გამართულ 2018 წლის უნივერსიადაზე სტუდენტებმა 3 ოქროს, 2 ვერცხლისა და 3 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს, საერთო გუნდურ ჩათვლაში მე-7 ადგილი ერგოთ (40-ზე მეტ უნივერსიტეტს შორის), ოქროს მედალების რაოდენობით კი მე-5-7 ადგილი სტუ-სთან და ილიაუნისთან ერთად.



„საქართველოს უნივერსიადა 2021“ წარმოადგენს „ევროპის უნივერსიადა 2022“-ის შესარჩევ ეტაპს. დიდი იმედი გვაქვს მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტის-იმედა გოგოლაძის, რომელიც სამბოში მსოფლიო უნივერსიადის ვერცხლის მედალოსანია. გამარჯვების შემთხვევაში ამჯერად ძიუდოში ევროპის/მსოფლიო უნივერსიადაზე გაემგზავრება.

2021 წლის „საქართველოს უნივერსიადა-2021“-ში უნივერსიტეტ გეომედის სტუდენტები სპორტის შემდეგ სახეობებში მიიღებენ მონაწილეობას: ბადმინტონი, ძიუდო, სამბო, ქართული ჭიდაობა, მაგიდის ჩოგბურთი, 3X3 კალათბურთი და ჯომარდობა.



საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ქრონოლოგია



მვირფასო მკითხველნო! 103 წელი შესრულდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან. სრულიად ერს ვულოცავ საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს!

შევეცდები მოკლედ მოგახსენოთ დამოუკიდებლობის აღდგენამდე პერიოდის შესახებ. რუსეთის მფარველობის იმედი ტრაქტატის დადებიდან სულ მალევე გაუცრუვდათ ქართველებს. ეს კარგად გამოჩნდა ერეკლე მეორის მიერ ეკატერინე მეორისადმი 1786 წელს მიწერილ საყვედურებით აღვსილ წერილში. მფარველობა ოკუპაციად გადაიქცა, რასაც 1802,1804,1812,1819-1820 წლების, შემდგომ კი ორმოციანი წლების მიწურულსა და ორმოცდაათიანი წლების ბოლოს მოჰყვა შეიარაღებული აჯანყებები. თუმცა ბრძოლა არც 60-70-იან წლებში შეწყვეტილა. ხოლო 1810-1812 წლებში იმერეთის სამეფოსა და რუსეთს შორის ბრძოლებს შეგვიძლია ორ სახელმწიფოს შორის ომი დავარქვათ.

მე-19 საუკუნის სამოციანი წლებიდან საგანმანათლებლო მოძრაობას, ხალხის „გამოღვიძების“ მოტივით, საქართველოს უგვირგვინო მეფე წმინდა ილია მართალი უდგება სათავეში და არამარტო „გამოღვიძებას“, არამედ მთელ პოლიტიკურ გეგმა-პროგრამას წერს თავისი ტაქტიკითა და სტრატეგიით, რომლის მიზანაც ძლიერი დამოუკიდებელი, დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნა. მოკლედ, ქართველი ხალხი, მთელი მე-19 საუკუნე სხვადასხვა ფორმით იბრძოდა დამოუკიდებლობისათვის. ეს ბრძოლა ქართველი ხალხის ბრწყინვალე წარმომადგენლებს არც 20-ე საუკუნის დასაწყისში, ილიას მკვლელობის შემდეგ შეუწყვეტიათ.

აღსანიშნავია, დევნილი პატრიოტების მიერ 1913 წელს ქუთაისში შექმნილი „თავისუფალი საქართველო“, რომლის საფუძველზეც ჩამოყალიბდა „საქართველოს დამოუკიდებლობის ეროვნული კომიტეტი“. ამ კომიტეტის უდიდესი დამსახურებაა საქართველოს ევროპის ქვეყნებთან დაკავშირება, ქართველთა ვინაობის, ჩვენი ქვეყნის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის, კულტურის გაცნობა, საქართველოს დამოუკიდებლობის იდეის პროპაგანდა და სხვა. მასალები ამ კომიტეტის მონაწილეობაზე საბჭოთა პერიოდში „სასტიკად გასაიდუმლოებული იყო და მხოლოდ მე-20 საუკუნის ბოლოს „ჩაუჯდნენ“ ქართველი ისტორიკოსები და შეისწავლეს პატრიოტების მოღვაწეობა (ძირითადად ევროპაში მოღვაწე ქართველი ახალგაზრდები).

ასე, რომ გულხელდაკრეფილი არ ველოდებოდით ქართველები თავისუფლების ციდან ჩამოვარდნას (რასაც ზოგიერთი რუსოფილი ამტკიცებს). 1917 წლის თებერვლის რევოლუციამ ხელი შეუწყო და დააჩქარა საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება. რუსეთის მეფის ნიკოლოზ მეორის გადადგომასა და რუსეთში დროებითი მთავრობის შექმნასთან ერთად კავკასიაში იქმნება „კავკასიის განსაკუთრებული კომისარიატი“ ევგენი გეგუქორის თავმჯდომარეობით. ხოლო უშუალოდ ჩვენი ქვეყნის ინტერესების გამომხატველი ორგანო „ინტერპარტიული საბჭო“, 1917 წლის აპრილში ჩამოყალიბდა. საბჭომ ამავე წლის 19 ნოემბერს პირველი ეროვნული ყრილობა მოიწვია, რომელმაც აირჩია საქართველოს ეროვნული საბჭო სოციალ-დემოკრატიული შორდანის თავმჯდომარეობით.

1917 წლის 7 ნოემბერს რუსეთში ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ საქართველოში იქმნება ამიერკავკასიის სეიმი (პარლამენტი) კარლო ჩხეიძის თავმჯდომარეობით. სომხეთსა და აზერბაიჯანელებს შორის დაპირისპირებამ, რომელსაც ხელს უწყობდნენ რუსი ბოლშევიკები, ფაქტობრივად დაშალა დამოუკიდებელი კავკასიის პარლამენტი.

ქართულმა ეროვნულმა პარტიებმა გაითვალისწინეს გერმანიის მთავრობის რჩევა საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებაზე და 1918 წლის 26 მაისს გამოაცხადეს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღე. გილოცავთ ამ ეროვნულ დღესასწაულს.

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
პ. ჩიქოვანი



უნივერსიტეტმა გეომედმა და სრულიად სამეცნიერო საზოგადოებამ დიდი დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა ნუგზარ ალექსიძე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, მედიკოზიოლოგიის, ეკოლოგიის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ეგროსის აკადემიების აკადემიკოსი. თავის ტვინის შემსწავლელი საერთაშორისო ორგანიზაციის (IBRO) და ევროპის ნეიროქიმიკოსთა საერთაშორისო საზოგადოების (ENS) და ბევრი სხვა საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი.

სახალხო მეურნეობასა და ბიოლოგიის მეცნიერების განვითარებაში მიღწეული წარმატებებისათვის და ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობისათვის ნ. ალექსიძე დაჯილდოებული იყო სხვადასხვა ორდენებითა და მედლებით.

ნუგზარ ალექსიძის სახელი ჩაწერილია იმ ასტრობიოლოგთა სიაში, რომელიც ატანილ იქნა 2021 წლის 18 თებერვალს მარსზე.

მას გამოქვეყნებული ჰქონდა 400-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 18 სახელმძღვანელო, 4 მეთოდური მითითება და 11 მონოგრაფია. იყო 18 გამოგონების ავტორი. მიღებული ჰქონდა პატენტი პლანეტა მარსის ეკოლოგიურ მოდელზე. შეყვანილი იყო მსოფლიოს 500 გამოჩენილ მეცნიერთა სიაში.



5 წლის წინ დავიწყე სწავლა უნივერსიტეტ გეომედში და ვფიქრობ, ეს იყო საუკეთესო გადაწყვეტილება. უნივერსიტეტი მზად არის უზრუნველყოს უსაფრთხო და ეფექტური სასწავლო გარემო, რომელშიც სტუდენტები, პედაგოგები და ადმინისტრაციის თანამშრომლები მუშაობენ ჯგუფური პრინციპით, რათა სტუდენტებმა მიიღონ მაღალი ხარისხის განათლება. უნივერსიტეტში ვნახე და გამოვცადე ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სწავლების მეთოდები, როგორცაა, მაგალითად 3D ანატომიის ლექციები, რომელიც ინტერაქტიულია. ვფიქრობ, თანამედროვე სამყაროში მნიშვნელოვანია ტექნოლოგიებისა და განათლების შერწყმა სწავლების პროცესში.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას გააჩნია მდიდარი წიგნობრივი ფონდი და ელბაზები, აღჭურვილია კომპიუტერებითა და ინტერნეტით, რაც საშუალებას გვაძლევს დისტანციურად გამოვიყენოთ ელექტრონული წიგნები და ელექტრონული ბაზები, როგორებიცაა ებსკო, ელსევიერი. გვაქვს ქიმიის, ჰისტოლოგიის, ფიზიკისა და მიკრობიოლოგიის ლაბორატორიები. ასევე, სიმულაციური კლინიკა, რომელიც მნიშვნელოვანია სწავლის პროცესში. გვაქვს პირდაპირი კავშირი გერმანიის კლინიკასთან და გერმანელ პროფესორებთან, რაც გვაძლევს საშუალებას მივიღოთ მაღალი დონის განათლება საქართველოდან გაუსვლელად. მიხარია, რომ ვარ უნივერსიტეტი გეომედის სტუდენტი.

მედიცინის ფაკულტეტის მე-10 სემესტრის სტუდენტი
ვინაი არია



ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე

1 ივნისი ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეა, რომლის დაარსების იდეა 1925 წელს ქუენვის საერთაშორისო კონფერენციაზე გაჟღერდა. პირველად კი 1959 წელს აღინიშნა, რამაც მსოფლიოს 51 ქვეყანა მოიცვა. მას შემდეგ ბავშვთა დაცვის დღე ყოველწლიურად აღინიშნება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც. მისი მიზანია საზოგადოებრივი აზრის მობილიზება ბავშვთა დასაცავად, ზრუნვა მათი ჯანმრთელობისა და აღზრდა-განვითარებისთვის. 1 ივნისს ბავშვებისთვის იმართება კულტურული ღონისძიებები, საქველმოქმედო აქციები და ა.შ.



უნივერსიტეტ გეომედის სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულები საქველმოქმედო ღონისძიებებში. 13 მაისს უნივერსიტეტის ინდოელი სტუდენტი საიკრიშნა რაო ბერი ანდრიას სახელობის ფონდს ესტუმრა, რომელიც სიმსივნით დაავადებულ 18 წლამდე ასაკის მოზარდებს და მათ ოჯახებს ეხმარება. საიკრიშნა რაო მედიცინის ფაკულტეტის მეხუთე სემესტრის სტუდენტია. მან საკუთარი დაბადების დღე - 13 მაისი სიმსივნით დაავადებულ ბავშვთა დახმარებით აღნიშნა.